

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №17

10 ივნისი 2022 წ.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე,
დავით ფარცვანია.

სხდომა თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე-ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები- მარიამ კვერნაძე ,თამარ ბიწაძე.

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (საკრ#12-0322159128-03 08,06,2022)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(საკრ.№15-03221613-03; 11-01221604043 10.06.2022წ)
(საკრ.№15-032216041-03; 11-01221602983 09.06.2022წ)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ „იჯარის №-455-1-23227 ხელშეკრულების“ ცვლილებებისა და დამატების შესახებ შეთანხმების მოწონების თაობაზე (№12-0322139120-03 20.05.2022)
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მახინჯაურის ქუჩა N8-ში მდებარე 372 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.12.031.041) და ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებული 1654 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.044) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (№12-0322139119-03 19.05.2022)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიგლა მირცხულავას (პ/ნ: 62001005806) შორის 2014 წლის 28 იანვარს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-244-3-10773 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე(№12-0322159129-03 08,06,2022)

6. ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა #36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი:17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე(№12-032214352-03 23.05.2022)
7. ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გია იმნაძესთვის (პ/ნ:01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-032214352-03 23.05.2022)
8. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N64-74-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 3189 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.002.626) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭავჭავაძის 64ა“-სთვის (ს/კ: 404890908) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (№12-032214768-03 27.05.2022)
9. ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 549 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.12.188) პირდაპირი განკარგვის წესით დავით ადღგომელაშვილისთვის (პ/ნ: 01008016454) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით საკითხის შეთანხმების თაობაზე.(№12-0322139119-03 19.05.2022)
10. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის“ (ს/კ: 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ#12-032214746-03 27.05.2022)
11. ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-032213919-03 19.05.2022)
12. ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-032213919-03 19.05.2022)
13. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევის N6-ში მდებარე 74.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.061.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032213919-03 19.05.2022)
14. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.79 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032213919-03 19.05.2022)
15. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N3-ში მდებარე 88.70 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.081.01.500) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N3-ში მდებარე 99.76 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.081.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(№12-032213919-03 19.05.2022)
16. ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.003.005.01.531) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032213926-03;12-032213924-03 19.05.2022)

17. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევის N3ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.303.01.823) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032213926-03;12-032213924-03 19.0.2022)
18. ქალაქ თბილისში, კორნელი სანაძის ქუჩა N43ზ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.442.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032213926-03;12-032213924-03 19.0.2022)
19. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N91-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.09.003.011.01.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-032213926-03;12-032213924-03 19.0.2022)
20. ქალაქ თბილისში, აკაკი ვასაძის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.034.02.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (№12-032213926-03;12-032213924-03 19.0.2022
21. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (№12-032213926-03;12-032213924-03 19.0.2022)
22. ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა N99-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.012.002.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(№12-032213926-03;12-032213924-03 19.0.2022)
23. ქალაქ თბილისში, მიხეილ გაბოკიძის ქუჩა N14დ-ში, N14ბ-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.213, N01.19.19.005.217 და N01.19.19.005.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-03221474-03;12-03221471-03 27.05.2022წ)
24. ქალაქ თბილისში, დიდი ღიღმის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუს N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე(№12-03221471-03 27.05.2022წ)
25. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I კვარტლის კორპუს N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.005.01.121) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(№12-03221471-03 27.05.2022წ)
26. ქალაქ თბილისში, ზაპესში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.03.012.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (საკრ#12-0322159116-03 08.06.2022)
27. ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(საკრ#12-0322159116-03 08.06.2022)
28. ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.33.001.195.01.502 და N01.19.33.001.195.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(საკრ#12-0322159116-03 08.06.2022)
29. ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა N1-ში (ნაკვეთი 40/014, საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.113.01.607) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(საკრ#12-0322159116-03 08.06.2022)

30. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N5-ში მდებარე 111.62 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(საკრ#12-0322159115-03 08,06,2022)

31. ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N98-ში მდებარე 45.00 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.10.010.032.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(საკრ#12-0322159115-03 08,06,2022)

32. ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში მდებარე 16.90 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.049) და 13.50 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.053) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (საკრ#12-0322159115-03 08,06,2022)

33. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N6-ში მდებარე 78.86 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.054.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(საკრ#12-0322159115-03 08,06,2022)

34. ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრ#12-032215859-03 07.06.2022)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები - 1 750,0 ათასი ლარით და მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 750,0 ათასი ლარის ოდენობით (ფაქტიურად მიღებული შემოსავლები). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 2 500,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 394 733,5 ათას ლარს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 3 423,6 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 3 000,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნებები - 558,6 ათასი ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 300,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნებები - 65,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 8 211,4 ათასი ლარით.

მცირდება ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნება - 10 000,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) - 558,6 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 000,0 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 1 500,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით კომისიის წევრების შეკითხვაზე დაწვრილებით განმარტა გაიოზ თალაკვაძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

კვარტალური ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა ლევან მიქავამ. მისი მოხსენებით მეორე კვარტლის გეგმები იზრდება შემდეგ ქვეპროგრამებში:

„გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში“ (პროგრამული კოდი: 01 01 13) - იზრდება 119 870 ლარით.

„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“ (პროგრამული კოდი 02 09 11) - იზრდება 522700 ლარით.

„დასუფთავების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი: 03 02) - იზრდება 4 000 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა ვაკის რაიონში“ (პროგრამული კოდი: 05 01 12) - იზრდება 350 000 ლარით.

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი: 06 01 06) - იზრდება 265 000 ლარით.

„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ (პროგრამული კოდი: 06 01 07) - იზრდება 500 000 ლარით.

თბილისის საკრებულო (პროგრამული კოდი: 10 27) იზრდება 338 000 ლარით.

გლდანის რაიონის გამგეობა (პროგრამული კოდი: 10 27) - არაფინანსური აქრივების ზრდა - იზრდება 67 825 ლარით.

საერთო ჯამში გადასახდელების მესამე კვარტლის გეგმა იზრდება ჯამში 5 975 700 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება მესამე კვარტლიდან 587 700 ლარი, მეოთხე კვარტლიდან 5 388 000 ლარი, ხოლო დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით

ლევან მიქავამ დაწვრილებით ისაუბრა აღნიშნულ ცვლილებებზე.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახური, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ „იჯარის №-455-1-23227 ხელშეკრულების“ ცვლილებებისა და დამატების შესახებ შეთანხმების მოწონების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯის“ (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წელს გაფორმდა იჯარის №-455-1-23227 ხელშეკრულება, რომლის 1.1 და 1.2 პუნქტების თანახმად, მოიჯარეს 10 წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცა

ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული 30 ერთეული მიწის ნაკვეთი და ასევე, იჯარის საგნად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიერ მომავალში განსაზღვრული 30 ლოკაცია.

ხელშეკრულების 1.3. და 1.4 პუნქტების თანახმად, თითოეული მიწის ნაკვეთის საფასურმა შეადგინა 4 ლარი, ხოლო სრული წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 120 ლარის ოდენობით, რომელიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს სამ თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა.

ხელშეკრულების 2.1.3 პუნქტის თანახმად, მოიჯარე ვალდებულია, ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ საიჯარო ქონებაზე განათავსოს 30 ერთეული ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენი და დაიწყოს შესაბამისი სერვისის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში.

ხელშეკრულების 2.1.5 პუნქტის თანახმად, მოიჯარე ვალდებულია დამტენების განთავსებიდან 1 წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ მოემსახუროს მომხმარებელს და უზრუნველყოს ზემოაღნიშნული სერვისის ჯეროვნად მიწოდება.

ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 წლის განმავლობაში, მოიჯარეს განუსაზღვროს დამატებით 30 ლოკაცია ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით.

ხელშეკრულების 2.1.6 ქვეპუნქტის თანახმად, მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების 2.2.2. ქვეპუნქტის თანახმად, დამატებით განსაზღვრულ 30 ლოკაციაზე განათავსოს ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენები არაუმეტეს 6 თვის ვადაში და დაიწყოს შესაბამისი სერვისის მიწოდება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2019 წლის შეთანხმებით, შეიცვალა ხელშეკრულების დანართით გადაცემული ლოკაციები, ახალი დანართის შესაბამისად და მოიჯარეს სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით დამატებით გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 მიწის ნაკვეთი, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით.

ასევე აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, დამტენები განთავსებულია და ფუნქციონირებს ხელშეკრულების ფარგლებში მოიჯარისთვის იჯარის უფლებით გადაცემულ 36 ლოკაციაზე, რაც დასტურდება მოიჯარის მიერ წარმოდგენილი შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტის“ (ს/ნ: 205229439) 2020 წლის დასკვნებით.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ მოიჯარემ მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებითა და ბრძანებით გადაცემულ N01.10.14.010.034, N01.14.11.007.012, N01.11.13.011.033, N01.14.11.018.024, N01.16.05.033.024 და N01.18.05.008.256 (ჯამში 6 (ექვსი) ლოკაცია) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული რიგი ობიექტური გარემოების გამო, ვერ ხდებოდა ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების მონტაჟი. აქედან გამომდინარე, მოიჯარემ ითხოვა აღნიშნული ლოკაციების ალტერნატიული ლოკაციებით ჩანაცვლება. ასევე, დამატებით გამოთქვა მზაობა დარჩენილი 18 ლოკაციის გადაცემისა და ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების თაობაზე. აღნიშნული წერილის გათვალისწინებით, სააგენტომ წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ითხოვა პოზიციის დაფიქსირება 24 ლოკაციის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და ალტერნატიული ლოკაციებით ჩასანაცვლებელ ძველ (პრობლემურ) მიწის ნაკვეთებზე იჯარის ფორმით სარგებლობის უფლების გაუქმების თაობაზე. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ წერილით დაადასტურა პოზიცია და გამოთქვა თანხმობა აღნიშნული ლოკაციების გადაცემისა და ძველი პრობლემური ლოკაციების გაუქმების თაობაზე.

როგრც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტოს მოიჯარისთვის გადაცემული აქვს 42 (ორმოცდა ორი) ლოკაცია, სააგენტოს მოიჯარისთვის კვლავ გადასაცემი რჩება 18 (თვრამეტი) ახალი ლოკაცია ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განსათავსებლად. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, მოიჯარეს ხელშეკრულების ფარგლებში, დამატებით, გადაეცემა 18 (თვრამეტი) ახალი ლოკაცია ელექტროსატრანსპორტო დამტენების განსათავსებლად.

ამასთან, მოიჯარის მიერ წერილებში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იჯარის უფლება შეწყდება გადაცემულ შემდეგ 6 (ექვსი) ლოკაციაზე: ქ. თბილისში, ი. აბაშიძე N35-41-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.11.018.024), ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირი N2/8-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.16.05.033.024), ქ. თბილისში, ტაშკენტის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.10.14.010.034), ქ. თბილისში, გულიას ქუჩა N1-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.18.05.008.256), ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, ქუჩა გობრონიძე (ს/კ: 01.11.13.011.033) და მათ ნაცვლად, მოიჯარეს გადაეცემა 6 (ექვსი) ალტერნატიული უძრავი ქონება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტზე თანდართული შეთანხმების პროექტის თანახმად, მოიჯარეს იჯარის უფლებით გადაეცემა შემდეგი 24 მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, მოიჯარემ გასაფორმებელი შეთანხმების ხელმოწერიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში უნდა განათავსოს გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენები და დაიწყოს შესაბამისი სერვისის მიწოდება, გარდა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N39-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.14.002.160) და ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი N5-54-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.11.004.051) მიწის ნაკვეთებზე. აღნიშნულ ორ მიწის ნაკვეთზე, მოიჯარემ უნდა განათავსოს ელექტროსატრანსპორტო საშუალების დამტენები და დაიწყოს შესაბამისი სერვისის მიწოდება ამ შეთანხმების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მახინჯაურის ქუჩა N8-ში მდებარე 372 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.12.031.041) და ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებული 1654 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.044) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მოქალაქე სულხან მინდაძემ (პ/ნ01026014514) განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში არსებული 1600 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: N01.11.13.002.012) ადგილმონაცვლეობა ან კომპენსაცია. სულხან მინდაძემ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეიძინა აუქციონის წესით და უძრავი ქონების განვითარების პირობას წარმოადგენდა ავტოსადგომისა და ავტოსამრეცხაოს მოწყობა. მას შემდეგ, რაც სულხან მინდაძემ დაიწყო აუქციონის წესით შეძენილ მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს მშენებლობა, მიმდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებმა გამოსატყვევინააღმდეგობა ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა მიწის ნაკვეთზე ადრე ვრცელდებოდა რზ-1, ხოლო დღეის მდგომარეობით ვრცელდება რზ-2.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობას, ადგილობრივმა მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია ამორტიზებულ მდგომარეობაში მყოფი ლითონის საბავშვო ატრაქციონები, ხოლო მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის განხორციელების შემთხვევაში, გამგეობა გამოთქვამს მზადყოფნას უზრუნველყოს ახალი დასასვენებელი სივრცის, სკვერის მოწყობა.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, სულხან მინდაძისათვის ადგილმონაცვლეობის მიზნით, შეთავაზებული იქნა ქალაქ თბილისში, მახინჯაურის ქუჩა N8-ში მდებარე 372 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.12.031.041) და ქალაქ თბილისში, ლიბანის ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებული 1654 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.044) მიწის ნაკვეთები, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა.

მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ.

სულხან მინდაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: N01.11.13.002.012) ღირებულება განისაზღვრა 569 600 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.031.041)-205 716 ლარით, ხოლო (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.044) მიწის ნაკვეთის -307 568 ლარით. მიუხედავდ იმისა, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ღირებულება მეტია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ღირებულებაზე, სულხან მინდაძეს, მიწის ნაკვეთების ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიგლა მირცხულავას (პ/ნ: 62001005806) შორის 2014 წლის 28 იანვარს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-244-3-10773 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წელს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) თანახმად, გიგლა მირცხულავას (პ/ნ: 62001005806) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, გლდანის დასახლებაში, „ა“ მ/რ-ში, კორპუსი #60-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 17/138) 88 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.12.017.138) შეზღუდვით - მშენებლობის უფლების გარეშე“.

დღეის მდგომარეობით N01.11.12.017.138 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთი გაერთიანებულია N01.11.12.017.091 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთთან, რომელთა გაერთიანების საფუძველზეც წარმოქმნილია ახალი, N01.11.12.017.158 საკადასტრო ერთეული.

აუქციონში გამარჯვებულმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა N01.11.12.017.158 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შეზღუდვის მოხსნა/გაუქმება. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია არსებული შეზღუდვის მოხსნა. ამასთან, ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენა, საკითხი განსახილველად გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს . აღნიშნული თაობაზე, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით ეცნობა, რომ მითითებულ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების ფენა ვრცელდება საკადასტრო ერთეულის იმ ნაწილზე, სადაც ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობა-ნაგებობა. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციით,სამსახური თანახმაა გამწვანებული ტერიტორიების რუკა მოიხსნას საკადასტრო ერთეულის იმ ნაწილზე, სადაც ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია შენობა/ნაგებობა.

მომხსენებელის განმარტებით, სააგენტომ წერილით მიმართა აუქციონში გამარჯვებულს და აცნობა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნია აუქციონში გამარჯვებულის პირის მიერ წარმოდგენილ იქნეს საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, რომელიც ასახავს პრივატიზებული მიწის ნაკვეთის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობებს, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ აუქციონში გამარჯვებულმა წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე, 2014 წლის 28 იანვრის მდგომარეობით N01.11.12.017.138 მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებასა და საპრივატიზებო ღირებულებებს შორის სხვაობა, საორიენტაციოდ შესაძლებელია განისაზღვროს 23 740 (ოცდა სამი ათას შვიდას ორმოცი) ლარით.

იქიდან გამომდინარე, რომ ფასთა შორის სხვაობის თაობაზე წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა 23 740 (ოცდა სამი ათას შვიდას ორმოცი) ლარია, აუქციონში გამარჯვებულმა სრულად უნდა შეასრულოს თანხის გადახდის ვალდებულება.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გიგლა მირცხულავას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი N01.11.12.017.158 თავისუფლდება პირობისაგან/შეზღუდვისაგან, იმ პირობით რომ აუქციონში გამარჯვებული სრულად შეასრულებს პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის - 23 740 (ოცდა სამი ათას შვიდას ორმოცი) ლარის გადახდის ვალდებულებას.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა #36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი:17.023.001.01.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 თებერვლის N20.230.252 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N43 განკარგულებების საფუძველზე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას“ (ს/ნ: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში არსებული ბინა N32-ის ფართით 93 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.10.17.023.001.01.01.032) საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის“ განთავსების მიზნით. ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, გადაცემულ ქონებაზე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. აღსანიშნავია, რომ N01.10.17.023.001.01.01.032 საკადასტრო კოდზე უსასყიდლო უზუფრუქტის უფლება დარეგისტრირდა 2020 წლის 5 მაისს.

უზუფრუქტუარმა წერილით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ უზუფრუქტით გადაცემულ ქონების კეთილმოწყობაში აღნიშნულმა ორგანიზაციამ განახორციელა 47 358 ლარის ინვესტიცია. 2020 წლის ოქტომბრიდან გაიხსნა დაუნის სინდრომის ასოციაციის ცენტრი და დღემდე ფუნქციონირად დატვირთულია. ცენტრში დაუნის სინდრომის მქონე მოზარდები და სრულწლოვნები დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების პროგრამას გადიან. მშობლებს აქვთ ყოველკვირეული შეხვედრები, სადაც საინფორმაციო და ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერას იღებენ. ცენტრი უზრუნველყოფილია ცხელი ხაზის მუშაობით და ხდება მშობლების იდივიდუალური მხარდაჭერა. შექმნილია დაუნის სინდრომის მქონე პირთა ოჯახების ერთიანი ბაზა, რომელიც 1000 -მდე ოჯახს აერთიანებს. ასევე დაარსდა საქართველოს დაუნის სინდრომის ბათუმის ფილიალიც და ფუნქციონირებს. ასევე აღნიშნულია, რომ ორი წლის განმავლობაში ცენტრმა უმასპინძლა არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ, ჰიბრიდულ კონფერენციას შეზღუდული შესაძლებლობის თემაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უზუფრუქტუარი ითხოვს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას 2 წლით და ვინაიდან მსგავსი ცენტრის არსებობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაუნის

სინდრომის მქონე ბავშვების, ზრდასრულების და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაზრდაში, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონში.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით გაა იმნაძესთვის (პ/ნ:01009002133) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, გაა იმნაძის (პ/ნ:01009002133) წარმომადგენელმა ლევან დანელიამ (პ/ნ: 01012029138) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.03.037.017) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. გაა იმნაძის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N57-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.14.03.037.006).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიციის თანახმად, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 3 მაისის N002777122 ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2022 წლის 2 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 240 (სამი ათას ორას ორმოცი) ლარით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N57-ის მიმდებარედ 18 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.03.037.017) პირდაპირი განკარგვის წესით, გაა იმნაძესთვის (პ/ნ:01009002133) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი 5 (ხუთი) წლის ვადით, ხოლო საიჯარო ქირის წლიურ საფასურად 3 240 ლარი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N64-74-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 3189 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.002.626) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭავჭავაძის 64ა“-სთვის (ს/კ: 404890908) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „ჭავჭავაძის გამზ. 64ა“-ს (ს/კ: 404890908) დირექტორის წარმომადგენელმა, ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N64-74-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 3189 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.002.626) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N64-ში მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ: 01.14.11.002.035).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. პასუხად სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია დადებითი რეკომენდაციის გაცემა ღია კაფის მოწყობისთვის მოთხოვნილი 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვასთან დაკავშირებით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2022 წლის 16 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 7740 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 7740 ლარის ოდენობით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 549 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.12.188) პირდაპირი განკარგვის წესით დავით აღდგომელაშვილისთვის (პ/ნ: 01008016454) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით საკითხის შეთანხმების თაობაზე

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებული 549 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.12.188) პირდაპირი განკარგვის წესით დავით აღდგომელაშვილისთვის (პ/ნ: 01008016454) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ საკითხი. მიწის ნაკვეთი გადაეცემა გამწვანებისა და ლეკორაციების განთავსების მიზნით. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 4 941 ლარი. იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყდა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს:„ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პროგრეს გრუპისთვის“ (ს/კ: 404612479) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „პროგრეს გრუპის“ (ს/კ: 404612479) დირექტორმა, ელექტრონული განცხადებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N50-54-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 2432 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.11.004.047) ტერიტორიიდან 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 10 წლის ვადით. აღნიშნული კომპანია 10 წლის ვადით იჯარით ფლობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N54-ში მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ: 01.14.11.004.008.01.554), 10.06.2021წ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია დადებითი რეკომენდაციის გაცემა ღია კაფის მოწყობისთვის მოთხოვნილი 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვასთან დაკავშირებით. ამასთან, სამსახურმა არ მიიჩნია შესაძლებლად განცხადებით წარმოდგენილი ვიზუალის ღია კაფეს მოწყობა. ეს პოზიცია კომპანიას ეცნობა სააგენტოს და მან თანხმობა განაცხადა, ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით ითანამშრომლოს აღნიშნულ სამსახურთან და გაითვალისწინოს მისი ყველა მოთხოვნა.

როგორც მარიამმა განაცხადა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 16.05.22წ. N003108422 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 10260 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 (ხუთი) წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 10 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 10260 ლარის ოდენობით.

მომხრე-6

